



ზინციანი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1765

ქ. თბილისი

20 07 2018 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის (ოქმი №13) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ გია ებრალიძის (პირადი №01024007446), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - „საჯარო მმართველობა“, სადისერტაციო თემა - „სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო სამსახურის ურთიერთმიმართების საკითხების ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცისათვის“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი ოთარ ქოჩორაძე (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი გენადი იაშვილი (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი გიორგი ბალათურია (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი ჯემალ გახოკიძე (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, რეცენზენტი);
- პროფესორი შოთა დოდონაძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი ოთარ ბალათურია (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი თამარ რევაზიშვილი (სტუ);
- პროფესორი ზურაბ ლიპარტია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი);
- პროფესორი კახაბერ ჯაყელი (კავკასიის სერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 27 ივლისს, 16⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 105^ა აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი